

170
1939/2

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՅՈՅՈՐԱՐԱՐՈՒԹՅՈՒՆ

Յօօբյու

№6
1939



პროლეტარების ყველა ქვეყნისა. შეერთდით!

აღილება და გვთვალისწინება

კიონგრესი

საქ. ალ. დემოსიერული კომისიის და
საქ. განაცხადის გარემონტის უზრუნველყოფა

036060 1939 წ. № 6

გამომცემლობა „კომუნისტი“, რედაქტორის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34, ტელ. 3—02—61.

მინდაგის


83.

- | | |
|--|--------------------|
| 1. ნორჩი ლენინელები,— (წერილი) | 1 |
| 2. გაბრიელ ჯაგუშანური,—უკანასკნელი ზარი (ლექსი) | 2 |
| 3. იგორ ვევოლოშვილი,—ლიონკა (მოთხოვი, თარგმანი ე ლისა) . | 2 |
| 4. ქათო თოთიბაძე,—გმირული გადაფრენა (წერილი) | 6 |
| 5. გრიგოლ ბერძნიშვილი,—მოსამსახურე (პიესა) | 8 |
| 6. გრიგორი შუჩიშვილი,—ამბავი ტყეზი (ლექსი) | 12 |
| 7. სამი ქმა,— (უზბეკური ზობარი, თარგმანი თ. ბებურიშვილისა) . | 14 |
| 8. გასართობი,— | გარეკანის მე-4 გვ. |

შურნალის გაფორმება და ყდის მხატვრობა

ეკუთვნის მხატვ. ი. ქოქიაშვილს

რომ ჩი გა ნინები გა



ეს იყო 15 წლის წინათ, 1924 წლის 23 მაისს. გაზაფხულის შვენიერ დილას ყოველი მხრიდან გაემართნენ პიონერთა რაზმები დედაქალაქის წითელი მოედნისაკენ, აქ ლენინის მავზოლეის წინ დაჟყვნენ ნორჩი პიონერების ლამაზი მწერივები.

ამ შესანიშნავ დღეს პიონერთა ორგანიზაციამ მიიღო ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელი.

მოედანზე სიჭყნარეა, პიონერთა რაზმები უძრავად დგანან. მხოლოდ სიო ქრის და ნაზად აშრიალებს წითელ დროშებს და წითელ ყელასხვევებს.

და აი, სიჭყნარეს არლევეს პიონერთა ათასების ჭკრიალა ხმები:

„მე, სსრ კავშირის პიონერი“... — მკვეთრად გაისმის პიონერთა საზეიმო აღთქმა.

სიო კი კვლავ ქრის და თან მიაქვს პატარების ფიცი, თითქოს სურს გააგონოს ის ყველას, ყველას, საბჭოთა კავშირის თვალუწვდენელ ტერიტორიაზე.

გაშინ, როდესაც მოსკოვის წითელ მოედანზე, მავზოლეის წინ, პიონერები საზეიმო აღთქმას დებდნენ, პიონერთა ორგანიზაცია მხოლოდ 161 ათას წევრს ითვლიდა, ახლა კი ის 13 მილიონი წევრისაგან შედგება.

15 წლის მანძილზე პიონერთა ორგანიზაციამ მრავალი სასახლო შვილი აღუზარდა ქვეყანას. ყველა დარგში, სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე მრავლად შეხვდებით ყოფილ პიონერებს, რომელიც თვალსაჩინონ არიან თავიანთი მამაკანითა და გმირობით და რომელთაც უსაზღვროდ უყვართ საბჭოთა სოციალისტური სამშობლო. საბჭოთა კავშირის გმირი ლევჩენკო — ყოფილი პიონერია, ლეიტენანტი ლევჩენკო გმირულად იბრძოდა ზაოშერნაიას მწვერვალზე, საბჭოთა კავშირის წმინდა საზღვრების დასაცავად.

პიონერთა ორგანიზაციას ჰყავდა ისეთი საამაყო წევრი, როგორიც პავლი ქორია მორიზონტი. ის უშიშრად შეებრძოლა ხალხის საზიზღარ მტრებს და თავისი ნორჩი სიცოცხლე შესწირა ლენინსტალინის პარტიას. პიონერთა ორგანიზაცია ამაყობს პავლი მორიზოვის გმირული მოქმედებით, მისი გამბედაობა და სიმამაცე მავალითის მიმცემია ყოველი პიონერისათვის.

პიონერთა ორგანიზაციას მრავლად ჰყავს საამაყო წევრები, ბევრი მათგანის მკერდს ამშვენებს მთავრობის უმაღლესი ჯილდო — ორდენი. გმირობისათვის, მამაკანისათვის, სუკეთესო სწავლისა და შრომისათვის არიან ისინი დაჯილდოებულნი.

ლამაზი და ბრწყინვალე გზა განვლო პიონერთა ორგანიზაციამ ამ 15 წლის მანძილზე, უფრო ლამაზი და მიმზიდველი გზაა წინ დაფენილი... იარეთ ამ გზით და იბრძოლეთ ლენინ-სტალინის საქმისათვის!



გაბაიერ ჯაჭუშანერი



ზაფხულის დილა გვიწვევს გარეთვე,
გული მიჰყება ნიავის ქროლვას,
თუ ძმა ხარ, ერთხელ კიდევ დარეკე
და მერე ვუთხრათ მშვიდობა სკოლას!

ათასფერადი გვიხმობს მთა-ველი,
გავხდეთ ბუნების კისკას ამქრებად,
მოგეწყურდა მეტი მზე და ჰაერი
ახალ ძალლონის შემოსაკრებად.

დღეს საბჭოეთში ყველგან რეკავენ
არდალეგების წერიალა ზარებს,
ლალი თაობა მოუდრეკავი
მხნე სიმღერებით მთებს აზანზარებს.

გული ჩეეული სიამით ტოკავს,
მზე კი გვიცინის უჩვევ ხალისით,
ჩენ ვართ საბჭოთა ნორჩი თაობა,
მთელ მსოფლიოში უბრწყინვალესი.

სამშობლო ტკბილი გვევლება თავზე,
მოვედეთ მთა-ველს მწვანეს და ცვრიანს,
რომ შემდეგ შევხდეთ, ძალლონით საფსე,
სწავლის დაწყების ზარების წერიალს.

ზაფხულის დილა გვიწვევს გარეთვე,
გული მიჰყება ნიავის ქროლვას,
თუ ძმა ხარ, ერთხელ კიდევ დარეკე
და მერე ვუთხრათ მშვიდობა სკოლას!

იბრა ვსევოლოვსკი



ლიონქა ორიანცელში დაექარგათ. ის გადმოვა-
რდა ფორანიდან და დაიწყო ტირილი, მაგრამ გა-
ნა გაიგებ ბაჟშეის კივილს, როცა ირგვლივ ყვირი-
ან ადამიანები, ჭიხვინებენ ცხენები, ყეფენ ძალლე-
ბი? მამამ გადაპკრა ცხენს და გადავიდა მდინარეზე
გადებულ წილზე. ფორანში კიდევ ოთხი შეშინებუ-
ლი ბაჟშეი გაპკიოდა. არავის შეუმჩნევია, როგორ
დაიკარგა ლიონქა.

ლიონქა კი, რომ თავი გადაერჩინა ცხენებისაგან,
ოთხით. გადაფოტხდა განხე. ის დადგა ფეხზე, გა-

დადგა ნაბიჯი და უცბად ჩავარდა ღრმა ორმოში.
ორმო ბნელი და ნოტიო იყო. ლიონქამ იქ ჩარგო
თავი სეელ ბალახებში და გაქვავდა. მალლიდან ის-
მოდა ხმაური, გუგუნი. უცბად გაისმა სროლაც. მა-
შინ კი გადაწყვიტა ლიონქამ აეწია თავი და ყუჩი
მიეგდო, მაგრამ ზევით უკვი ყველაფერი მიწენარდა.
აღარც ყვირილი, აღარც ცხენების ფეხის ხმა, არც
ფორანების ჭრიალი. ლიონქა დაჯდა ბალახზე და
დაიწყო ფიქრი.

ჯერ კიდევ გუშინ ლიონქას სოფელში სიმშეიღ

იყო. ბავშვები თავისთვის თამაშობდნენ, მათთან ერთად ხუთი წლის ლიონკაც. მერე კი მეზობელ სოფლიდან მოიჩინია რომელილაც ძიმ და დაწყო ყვირილი. ლიონქემ დაინახა, რომ მას თავი შეხვეული ჰქონდა ჭუჭყიანი ნაჭრით და ამ ნაჭრიდან სისხლი მოჟონავდა.

სახლებიდან ხალხი გამოცეივდა და იმ ძიას ირგვლივ შემოხვივნება.

ყველანი ოხავდნენ, პირჯვარს იწერდნენ და უსმენდნენ ძიას. ძია კი რაღაც საშინელს უამბობდა მათ, ამბობდა, რომ მათი სოფელი საძაგელმა თეთრებმა დაწვეს. მაშინ ყველამ შეჰყვირა და ეზოებში გაიქცნენ ცხენების შესაბმელად. ლიონკას მამამაც დაყარა ფორანზე ცხვრის ტყავები, დასვა ზედ 5 ბავშვი და გაუდგა გზას. მას უკან მისდევდა თითქმის მთელი სოფელი. მიუახლოვდნენ მდინარეს. უცბად მოსახვეში ფორანი ძლიერ შეინჯორა და ლიონკა გადმოვარდა. აი, ზის ახლა ის მარტოდმარტო დიდ, ცარიელ ორმოში. ჭამაც უნდა, ეძინება კიდეც, უნდა იტიროს. მას უკვე ეშინია უმამოდ, უდამებოდ. ლიონკა აღრიალდა. ღრიალებდა ერთხანს, მერე კი გახერდა: სულერთია, მას არავინ უსმენდა. მან სცადა ამოსულიყო ორმოდან, მაგრამ ბალახი ლიპი და სველი იყო და ამოსვლა შეუძლებელი ხდებოდა. ლიონკას ფეხები გაეყინა. მას უცბად მოაგონდა, რომ ფორანზე ბურის დიდი ნატეხია. მას ისე მოუნდა ჭამა, რომ მუცელიც კი უყუუნებდა.

მამა, ალბათ, მალე დაბრუნდება. ლიონკას შეუშინდა: მამა რომ სრულებით არ მოვიდეს? მან მთელი ძალით შეჰყვირა:

— მამა! მამა!

მაგრამ ლიონკას არავინ პასუხობდა. არ ესმოდა მამას თავისი ლიონკას ძახილი. მაშინ ლიონკამ კიდევ ერთხელ შესძახა:

— მამა! მამა!

და უცბად დაინახა, რომ ორმოს რაღაც შავი ლანდი გადაეფარა და ვიღაცის ხმა შეეკითხა მას ზევიდან:

— ვინა ხარ? რა გაყვირებს?

— ვერ ამოვედი, — უპასუხა ლიონკამ, — სისველეა.

— სადა ხარ? — და კაცი ჩახტა ორმოში.

ეს იყო ახალგაზრდა ჯარისკაცი, გაქონილი ხალათით და ქუდზე ვარსკვლავით.

— აი, შე... — შეხედა მან ლიონკას. — ერთი ციდა ხარ და ისე კი ყვირი, რომ შენი ხმა ერთ ვერსზე ისმის. საიდან გაჩნდი აქ?


— დავიკარებე, — უთხრა ლიონკამ.

ჯარისკაცს კეთილი, მხიარული თვალები ჰქონდა, ლიონკას მისი არ შეშინებია.

— რა გქვიან?

— ლიონკა.

— აბა, წავიდეთ, ლიონკა. — მას ბევრი არ უფორია, შეისვა მხარზე ლიონკა და ორი ნაბიჯით ამოვიდა ორმოდან. ზევით ლიონკამ დაინახა თვლებზე შემდგარი დიდი, მრგვალი ყუთი, რომელშიც



შებმული იყო ცხენი. შორს კი, მინდორში ცხენოსნები მიღიოდნენ.

— აი, ჩევნებს ჩამოვრჩით, — თქვა ჯარისკაცმა.

— დაჯექი. — და ლიონკა ყუთზე შესვა. — მაგრად მოჰკიდე ხელი, — უთხრა მან და თვითონაც ლიონკას გვერდით დაჯდა.

— აბა, მახნა, — შესძახა ცხენს და გაემგზავრნენ. ლიონკას მაგრად ჩავლო ხელები ყუთისთვის, ეშინოდა კიდევ არ გადმოვარდნილიყო და არ დაკარგულიყო. ზურგს უკან რაღაც ჩუქებებდა და თუხთუხებდა. ვაუმა გადაკვრა თავის მახნას და ისინი მალე დაეწივნენ ცხენოსნებს. მაშინ კი ჯარისკაცმა მიუშვა ცხენი და შეხედა ლიონკას. ლიონკამაც შეხედა ჯარისკაცს.

— რა გიყო ახლა შენ, ლიონკა?

— შენთან ერთად ვიმგზავრებ, — უპასუხა ლიონკამ. — მამაჩემი დაიკარგა.

— ოოო, — გააგრძელა ჯარისკაცმა, — მამა დაიკარგა? ვიპოვით მამაშენს.

— ეი, მზარეულო, სად გიპოვია ეს ცეროდენა?

— შესძახოდა ჯარისკაცს მარჯვნიდან და მარცხნიდან მიმავალი ხალხი.

— ვიპოვე, — სიცილით უპასუხებდა ჯარისკაცი.

— შენ მზარეული გქვია? — შეეკითხა ლიონკა.

ჯარისკაცმა გადაიხარხა და ლიონკამ დაინახა, რომ მას ჰქონდა თეთრი, უთეთრესი კბილები.

— არა, — სიცილით უპასუხა მან, — მე თეღლორე
მქვია, მზარეულს კი იმიტომ მეძახიან, რომ მთელი
პლაკისათვის საჭმელს ვამზადებ.

მან თავისი მსუქანი ხელი დაჰკრა მრგვალ ყუთს. ახლა კი მიხედა ლიონქა: ზურგს უკან გამუდმებით რომ თუხთუხებდა, ეს იყო ფაფა. მას ისე მოუნდა ჭიათ, რომ პირიდან ნერწყვება დაუწყო დენა.

— შენ, ალბათ, გშია, ძამიკო?

თელორეგ გააჩერა ცხენი, მოხადა ქვაბს სახურა-
ვი, აიღო ჩამჩა, ჩაყო ქვაბში, ამოიღო და გაუწოდა
ლიონჯას ობილი, სურნელოვანი ფაფა.

სანამ ლიონქა ხარბად შეექცეოდა თედორემ ის ყოველი მხრიდან შეათვალიერა. მას ძალიან მოეწონა ლიონქა, თავის პატარა ძმასაც მიამსგავსა და გადაწყვიტა თავისი ნაპოვარი თავისთანვე დაეტოვებინა.

სალამოს, შესვენების დროს, ლიონკასა და თე-
დორეს წითელარმიელები შემოეხვივნენ. ყველანი
ეკითხებოდნენ ლიონკას სადაური იყო, სად იყო
მისი მამა და როცა მისგან გაიგეს მისი დაქარგვის
შესახებ, წყენით თავს აქნევდნენ. შემდეგ კი ყვე-
ლამ მიიწმოიშია და ლიონკას მიუხსლოვდა ტყავ
ისპალტოიანი წვერიანი კაცი. მანაც ჰქითხა მამის
შესახებ.

— რა გიყოთ? — შეეკითხა წვერიანი ქაცი და კისერი მოიქექა.

— მე... აი, თედორესთან ერთად ვიმოგზაურებ,
— დინჯად მიუგო ლიონკამ და მიუთითა თავისი ახ-
ალ მეგობარზე. ის უკვე მაძლარიც იყო და ჩატმუ-
ლიც, — შესვენებისს თედორემ მას ჩაცვა თავისი
უზარმაზარი ხალათი და ქუდიც აჩუქა. ქუდიდან
ლიონკას მხოლოდ ცხვირილა უჩანდა.

— იყოს ჩემთან, ხომ არ გადავაგდებ, ამხანავო
მეთაურო, — თხოვნით მიმართა თელორემ და სხვე-
ბმაც გაიმეორეს:

— იყოს, იყოს, ხომ არ გადავაგდებთ!

ମାତ୍ରିନ ଶ୍ରୀଗୁରୀନାନନ୍ଦା ଜୀବିମା ତତ୍ତ୍ଵା:

— რას ვიზამთ, ჯერჯერობით იყოს და როგორც კი უახლოეს ქალაქში შევალთ, საბავშვო სახლს გადავცეთ. მერე გაუწოდა ლიონკას შაქრის ნატეხი და წავიდა. გახარებულმა თელორემ ლიონკას ჩაიდალევინა.

ამის შემდეგ ლიონკა იჯდა პოლკის სამზარეულოზე და მოგზაურობდა თელორესთან ერთად.

მგზავრობდნენ ისინი გზებშე, სოფლებზე, ღამეებს
ათევედნენ ბალახებში, ტყეში, სოფლის ქოხებში.
ძლიერ შეუყვარდა თედორეს ლიონკა, ლიონკასაც
შეუყვარდა თედორე. ლიონკას ეჩვენება, რომ ის
დიდი, ძალიან დიდი ხანია, რაც თედორესთან
ერთად მოგზაურობს.

შესვენების დროს თედორემ მოიტანა შეშა და
სამზარეულო გაახურა. გემრიიელი ფაფა იხარშებოდა.
როდესაც სადილობის დრო მოვიდა, სამზარეულოს-
თან გამწერივდნენ წითელარმიელები სალაშქრო
ქვაბებით. ლიონკა თედორეს ეხმარებოდა. წითელ-

არმიელები, რომელთაც გაეგოთ რას ერთხდება? ღია-
ონქას მამას, მაღლობას უხდიდნენ. ის კი იყო კა

— მაღლობას გიძლენით, ლეონიდ იგახიჩი; — ლიმ-
ნკა ძალიან დაუმეგობრდა მთელ პოლქს, ხშირად
საუბრობდა მეზრძოლებთან სერიოზულ საკითხებზე,
მაგალითად, რომელიმე მათგანი შეეკითხებოდა
ლიონკას:

— თუ რ
არა პანებს?

— ცხადია, დაგამარცხებთ, — უპასუხებდა ლონქა.

როგორც იყო, პოლკმა მიაღწია უახლოეს ქალ

აქს. როცა მიუახლოვდნენ საბავშვო სახლს, ოედო
რეს გაახსენდა მეთაურის ბრძანება, მაგრამ მას ი
გაუქნელდა ლიონკასთან განშორება, რომ თვალთ
გან ცრემლები წამოსცვივდა.

— აბა, ლიონქა, მეტი გზა არ არის, უნდა გამოვეთხოვოთ ერთიმეორეს, — უთხრა ნაღვლის ხმით თეთორებმ.

— მე შენთან მინდა, — თითქმის ტირილით
უგო ლიონკამ.

ასე იდგნენ ისინი საბავშვო სახლთან და ამ იდგნენ რა გადაწყვიტათ. იფიქრა, იფიქრა თეღონ ბოლოს მოაბრუნა ცეკვი და ჩაუარა საბავშვო სახ საღამოს კი მოელაპარაკა თაგის ამხანაგს, გარ კაცს, და სთხოვა დაემალა მას ლიონგა. ლიონგა უბრძანა წყნარად დაწოლილიყო და „პოვოზეკიდ თავი არ გადმოეყო, თორებ თუ მეთაური დაინა და, უკანვე გააბრუნებდა მას საბავშვო სახლში.


სამი დღის განმავლობაში ლიცენზის თავი არ
წევია, ეშინოდა მეთაურს არ დაენახა.

კაცს მოპერნდა მისთვის ფაფა და პური და
ეკითხებოდა.

— ლიონკა, ხომ არ დამხრჩვალხარ?

— მომენტყინა, — უპასუხებდა ლიონკა.

— მოვგეწყინა? თელორესაც მოვწყინა, მაგ
რა უნდა ვქნათ? მეთაურმა გიყითხა და თელორემ
ახსენა, რომ შენ უკვე საბავშვო სახლში მიგაბა



მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც ლიონქამ ისურეა სუფთა ჰაერის ჩაყლაპვა, პოეოზის ღლოს გაიარა მეთაურმა.

— ეს რა არის? — მრისხანედ იყითხა მეთაურმა და ლიონქას დააკეტერდა.

— ძალიან გაუჭირდათ განშორება, ამხანავო თაური, — მიუგო კაცმა. ლიონქამ შენიშნა, რომ თაურმა გაიღიმა.

— კარგი, იმგზავრე ჩვენთან.

— გმაღლობთ, ამხანავო მეთაური, — უპასუხა უკმა თედორესა და ლიონქას მაგივრადაც.

დღეები მიდიოდნენ. ლიონქა ისევ თავის მეგონი თედორესთან ერთად მოვზაურობდა.


პოლკი ეომებოდა პოლონელებს და ყოველი ხმლის შემდეგ მებრძოლებისათვის მზად იყო დაჭა. მეომრები ახლა ლიონქასაც მზარეულს ეძახენ, რაც ძალიან ახარებდა მას.

მაგრამ ერთხელ იი რა მოხდა: ლაშქრობის ღლოს გატყდა კაცის „პოვოზკა“. თედორემ გააჩერა ვისი სამზარეულო და დაიწყო კაცის „პოვოზკის“ ცეტება.

პოლკი უკვე შორს იყო და როდესაც გაემართა პოლკის დასაწევდად, მათ გზა აეგნათ. ისინი დიდ დახეტიალობდნენ უგზოუკვლოდ, ისე რომ ლიონქას კიდევაც ჩაეძინა კაცის „პოვოზკაზე“. უკბამალლა ლაპარაკმა გამოაცხიზლა. „პოვოზკა“ სამზარეულო გზაზე იყო გაჩერებული. იქვე ახლ იორი პოლონელი იდგა. მათ რევოლვერები მდათ. თედორე იჯდა თავის სამზარეულოზე და იან გაბოროტებული იყო. უკბად თედორემ თავს სახურავი მოხადა. — აღბათ, პოლონელებს ფაფა ა აქამის, — გაითვიქია ლიონქამ. მას ძალიან ნანა ფაფა პოლონელებისათვის და რაც ძალა ორნე ჰერნდა შეჰყვირა:

— ფედია, არ აჭამო მაგათ ფაფა!

თედორემ შეხედა ლიონქას, მოიქნა სავსე ჩამჩა პირდაპირ სახეზე შეასხა ცხელი ფაფა პოლონა, რომელმაც დაიკენისა, შეხტა სიმწარისაგან დაიწყო სახიდან ფაფის ჩამოწმენდა ხელებით. ჩის მეორემ იძრო რევოლვერი, მაგრამ კაცი უან მიეპარა და პოლონელს ხელი გაუკავა. უდიამ მეორესაც შეასხა ცხელი ფაფა. პოლონი ტკივილისაგან ღმუოდა. ამ დროს კაცი უკვე ვერს აკლიდა მას ხელიდან.



— გარეკე! — შეჰყვირა კაცმა საშინელი ხმით და შეხტა „პოვოზკაზე“.

კაცმა და თედორემ ცხენებს გადაჰქრეს.

— ლიონქა, ხელი ჩასჭიდე! — შესძახა კაცმა. ისინი ჭენებით მიქროდნენ.


უკნიდან სროლა ატეხა პოლონელმა, მაგრამ მეგობრები უკვე შორს იყვნენ. როდესაც კაცმა და თედორემ შორს შენიშნეს თავისიანები, წითელარმიელთა პოლკი ის იყო დასვენებას აპირებდა და მეთაური ძლიერ შეწუხებული იყო მზარეულის გადაკარგვის გამო, მაგრამ როდესაც გაიგო ყველაფერი, მან შეაქო თედორე და კაცი, და განსაკუთრებით კი ლიონქა.

— ლეონიდ ივანიჩ, ჯერ კიდევ ვერ იპოვე მამაშენი? მიმართა მას მეთაურმა. ჩვენ გიშვილებთ, შენ იქნები პოლკის შვილი.

მართლაც, ლიონქა პოლკის შვილობილი იყო მანამ, სანამ არ დამთავრდა ბრძოლები და სანამ არ მონახეს მისი მამა.

თარგმანი ელ.— ის.

გეილუში



ეს გმირული გადატრენა დაიწყო ამ წლის ოცდაწელია აპ-
რილს; დილის წოთ საათსა და ცხრამეტ წუთზე. მოსკოვის
მახლობლად მდებარე შჩელკოვის აეროდრომს გუაუნით მოს-
წყდა თვითმფრინავი „მოსკოვი“ და მაღლა-მაღლა გაემართა.

ლევენდარულ საპარო ხომალდში ისხდნენ საბჭოთა კავ-
შირის გმირი მფრინავი ვლადიმერ კოკინავი და შტატერმანი
მიხეილ გორდიენქო. მათ დავალებული ჰქონდათ მოწყოთ ძირ-
დაუშვებელი გადატრენა მოსკოვიდან ამერიკის შეერთებულ
შტატებამდის, გამოერევიათ, თუ რამდენად შესაძლებელია რე-
გულარული საპარო მიმოსვლის დამყარება საბჭოთა კავშირსა
და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, ისლანდიასა და
გრენლანდიაზე გავლით. მათ ახალი საპარო ხაზი უნდა გაე-
ყანათ საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს
შორის.

უკვე დიდი ხანია ჩვენი მფრინავები ოცნებობენ ამ გზის
შესახებ. ათი წლის წინათ, აგვისტოში მფრინავი შესტაკოვი
ორმოტორიანი საპარო ხომალდით, გაფრინდა მოსკოვიდან ამერიკისაკენ. მას უნდა გაევლო ციმბირი,
ოხოტის ზღვა, დიდი ოქეანის ჩრდილო ნაწილი და ამ მიმართულებით უნდა მიეღწია ნიუ-იორკამდის.

სამოცდაათ დღეში გაიარა ეს გზა საბჭოთა მფრინავმა და პირველ ნოემბერს ჩაფრინდა ნიუ-იორ-
ქში. გზაში თვითმფრინავმა დაახლოებით ოცჯერ დაისვენა. ამ დასვენების დროის ჩათვლით, გადა-
ფრენის საშუალო სისწრაფე საათში თერთმეტ კილომეტრს უდრიდა.

შეიდი წლის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირმა ლევანევსკიმ ამერიკასა და მოსკოვს შორის გაი-
ყანა ჩრდილოეთის საპარო ტრასა; მისი გაფრენის საშუალო სისწრაფე, გაჩერების დროის ჩათვლით,
ოცდაორ კილომეტრს უდრიდა.

ცოტა უფრო გვიან, 1937 წელს, ჩვენი დროის დიდი მფრინავი ვალერი ჩეკალოვი საბჭოთა კავ-
შირის გმირებთან ბაიძუქოვთან და ბელიაკოვთან ერთად გაფრინდა ამერიკისაკენ. მან გადაუარა ჩრდილო-
ეთის პოლუსს და სამოცდასამი საათისა და ოცდახუთი წუთის შემდეგ მიფრინდა ამერიკაში. ჩეკალოვის
თვითმფრინავმა ფაქტიურად თორმეტი ათას კილომეტრზე მეტი გვიარა.

ამავე მარშრუტით გაფრინდა რამდენიმე დღის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირი მფრინავი გრო-
მოვი იუმაშევთან და დანილინთან ერთად. მათმა თვითმფრინავმა სამოცდაორ საათსა და ჩეკიდმეტ
წუთში დაფარა მანძილი, გაიარა რა ფაქტიურად თერთმეტი ათას ხუთასი კილომეტრი საპარო გზა.

გამოჩენილ გმირ მფრინავს კოკინავის მიეცა დავალება გაევლო არა ჩეკალოვისა და გრომოვის
გზაზე, გაევლო არა პოლუსზე, არამედ გაეყვანა უმოკლესი ტრანსატრანსტრიუტო ტრასა მოსკოვსა და
ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. ამ ტრასის სიგრძე შეიდიათის ხუთას ოცი კილომეტრია.


აი, სწორედ ამ ამოცანის შესრულებას შეუდგა დიდი მზადების შემდეგ ვლადიმერ კიკინავი
შტურმან გორდიენტოსთან ერთად. ოცდაწელი აპრილს დილით აფრინდა „მოსკოვი“ შჩელკოვის აერო-
დრომიდან.

აი, თვითმფრინავმა უკვე რამდენიმე წუთია დატოვა მოსკოვი. იგი ჩრდილო-დასავლეთისაკენ მი-
ფრინავს.

აი, კალინინსა და რუსეს შუა გადაიტრინა ვოლგაზე, გა-
დაიფრინა ვალდაის მაღლობზე, ახლოს გაუარა ნოვგოროდს და
ფინეთის ყურეში გავიდა ლუგოს უბესთან.

დაახლოებით ორმოცდაათ წუთში მანქანამ ფინეთის ტყიანი
და ტბიანი რაიონები გადაიფრინა და გავიდა ბოტნიის ყურეში.

თვითმფრინავი „მოსკოვი“ მიქრის მაღლა-მაღლა. ქვევით
უზარმაზარი წყლიანი სივრცე მოჩანს. ეს ბალტიის ზღვაა. მალ-



გადაფრთხოება


ხმელეთი გამოჩენდა. „სკანდინავიის ნახევარკუნძული“ — გაი-ფიქრეს მფრინავებმა. ოვითმფრინავიდან ისინი დაბლა ველებს, ტებებსა და მთებს ამჩნევდნენ.

მალე გამოჩენდა ნორვეგიის სანაცვალო ქალაქი ტრონჰემი, ცოტა ხნის შემდეგ — ნორვეგიის ზღვა. „მოსკოვი“ მალლა-მალლა მიფრინავს. ქვევით მხოლოდ ზღვაა. ათას სამასი კილომეტრი გაიარა ზღვის სივრცეზე. ისევ ხმელეთი გამოჩენდა. ეს ისლანდიის ნაპირებია.

მაგრამ, აპა, უკანასკნელი მწვერვალი, უკანასკნელი ნაპირი ყინულოვანი კუნძულისა. შემდეგ ზღვა, ისევ ხმელეთი — გრენლანდია, ზღვა, ხმელეთი — ლამბრადორი...

ლაბრადორი ჩრდილო ამერიკის ნახევარკუნძულია. კუნძული მთებითაა დაფარული. ოლაგ-ალაგ ტებები და პატარა მდინარეებია. ციფა, სუსხია, საშინელი ქარი ქრის. მაგრამ გმირ მფრინავებს ვერ აშინებთ ეს. „მოსკოვი“ გუგუნით მიაპიბს უცხო სივრცეებს.

ამინდი უფროდაუფრო უარესდება. შავი ღრუბლებით იფარება ყველაფერი. წინსვლა შეუძლებელია. ოვითმფრინავებს დაშვებაც ძნელდება...



ეკიპაჟს კი სურს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, გავიდეს ნიუ-იორკისაკენ. თვითმფრინავი სულ მაღლა მალლა აპყავთ — ცხრაათასი მეტრის სიმაღლეზე, მაგრამ ღამე ახლოვდება. ამინდი კვლავ უფროდაუფრო უარესდება, წინსვლა შეუძლებელია.

„მოსკოვი“ უკან დაბრუნდა, ლავრენტის კურისაკენ, და ფრთხილად დაეშვა მისკოუს კუნძულზე. ნიადაგი მეტად ჭაობიანი და უხერხულია დაფრენისათვის. ამიტომ ოვითმფრინავი ოდხავ დაზიანდა, დაზიანდა ხრანი და მოტორის მარჯვენა ჩარჩო.

ეს დაშვება თავისი სირთულითა და ოსტატობით მეორე გმირული დაშვებაა უდის კუნძულზე ჩკალოვის დაფრენის შემდეგ.

ამრიგად, კოკინაკიმ და გორდიენტომ დიდი გმირული გადაფრენა მოაწყვეს, ოცდაორ საათსა და ორმოცდათექვსმეტ წუთში გაიარეს რვაათასი კილომეტრი გზა, გაიარეს ისეთი მანძილი, რომელსაც ყველაზე უფრო სწრაფმავალი გემი ან მატარებელი, სულ მცირე, ათ დღეს მოანდომებდა.

* * *

ოცდაათ აპრილს მოსკოვსა და მისკოუს კუნძულს შირის დამყარდა პირდაპირი სატელეფონო კავშირი. აი, ერთმანეთს ელაპარაკებიან ორი მატერიკიდან. მოსკოვში აპარატთან არის გმირი მფრინავის ძმა კაპიტანი ქადაგინაკი, მისკოუში კი გმირი მფრინავი.

მოსკოვი: გამარჯობა, ვალოდია! სალამი და მოლოცვა ყველასაგან. ყველანი გილოცავთ გამარჯვებას!

მისკოუ: გმადლობთ, გმადლობთ!

მოსკოვი: როგორა ხარ?

მისკოუ: გმადლობთ, არა მიშეას რა. ყველაფერი რიგზეა, თავს კარგად ვგრძნობ...

ხანგრძლივი საუბრის შემდეგ სატელეფონო კავშირი შეწყდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ დამყარდა. მოსკოვში აპარატთან დადგა გადაფრენის შტაბის უფროსი ამბ. ანტონოვი, რომელმაც ვლადიმერ კოკინაკის წაუკითხა მთავრობის კომისიის ცნობა.

მისკოუდან გმირმა მფრინავმა აცნობა, რომ გორდიენტო იქ უკვე აღარ იყო, მონქტონს გაფრენილიყო. კოკინაკი იტყობინებოდა, რომ ოვითონაც მალე დატოვებდა მისკოუს.

* * *

მართლაც, გმირი მფრინავი მალე აფრინდა მისკოუდან. თვითმფრინავმა გეზი მონქტონისაკენ აიღო. პირველ მაისს ლამის პირველ საათზე ჩავიდა იქ, სადაც გორდიენტი იცდიდა.

ნახევარი საათის შემდეგ ისინი ნიუ-იორქს გაფრინდნენ. ხუთ საათსა და ოცდაცამეტ წუთზე ორივენი უკვე ამერიკის უდიდეს ქალაქში იყვნენ.



(დასასრული) ¹

შორებები შორის

სკონა: იგივე ოთახი, რაც პირველ მოქმედებაში. სალაშის 7 საათია. პირველი მოქმედებიდან უკვე ორმა თვემ განვლო. მართას უკეთესად და სუფთად აცვია, უკვე გაშინაურებულია, სცენაზე არიან მართა და ნოდარი.

ნოდარი — (მართას წერას ასწავლის) ეს არის ი. აბა დაწერე (მართა წერს). აბა დაწერე ო(მართა წერს). ეგ საღაური „ო“-ა, ეგ ხომ თანია. ცუდი! ოხ-ოხ-ოხ... ორი თვეა, რაც ჩენთანა ხარ და წერა ვერ ისწავლე, თითქმის ყველა საგანში ცუდი გაქვს.

მართა — (ზანტად) რა ვქნა, ვერ ვისწავლე და...

ნოდარი — შემძლდები, უსათუოდ შემძლდები, თუ არ მოინდომე და წერა არ ისწავლე. შე ხომ მამას სიტყვა მივეცი, რომ ჩემი დღეობისათვის შენ წერა-კითხვას გასწავლი. მართა, კარგო მათიკო, ისწავლე, თორებ გავჯავრდები. მართა — რა ვქნა, ნოდარ, ასეთი უშნო დავიბადე და ობოლი ვიყავი. თავში მცემდნენ და სწავლის უნარი დამეკარგა.

ნოდარი — სწავლის უნარი დაგეკარგა? მამის ნაჩუქარი აბაზიანი ხომ არ არის, რომ დაგეკარგოს! მართა, მათიკო, მომეცი სიტყვა, რომ ისწავლი.

მართა — გაძლევ სიტყვას, რომ ვერ ვისწავლი.

ნოდარი — მაშ მე სამი დღით გიბრაზდები, ოთხი დღით გებუტები და ხუთი დღით თვალებში არ შემოგხედვ.

მართა — კარგი, კარგი, ნუ გამიბრაზდები და ვისწავლი, ოღონდ დღეს დამასვენე, ხომ ხედავ, საკერავი მაქვს.

(შემოდიან გენადი და ქეთევანი)

გენადი — (ქეთოსთან ერთად თავისი ოთახიდან გამოდის) ოჳო, თქვენ ისევ სწავლობთ, არა? ნოდარი — დიახ, მამიკო.

გენადი — მერე, როგორი შედეგები გაქვს? ისწავლა თუ არა რაიმე შენმა მოწაფემ?

ნოდარი — ძალიან ცუდოსანია, გუშინ მე და შალვას სხდომა გვქონდა და ვერაფერი დასკვნა ვერ გამოვიტანეთ მართას შესახებ. შალვა ამბობს მართა არ გამოსწორდებაო, მე კი ვამბობ გამოუსწორებელი არაფერია მეთქი. გენადი — სწორეა, მაგრამ, აღბათ, შენ მეთოდი არ გივარგა, მასწავლებელო.

ქეთევანი — მიდგომა არ გივარგა.

ნოდარი — რატომ? მე მართას არ ვუყვირი, არ ცსჯი და რაშია საქმე.

ქეთევანი — რა ვიცი, კი ვერ ასწავლე და.

ნოდარი — ვასწავლი. სანამ არ ისწავლის, არ მოვეშვები!

გენადი — რომ ვერ ასწავლო?

ნოდარი — სიტყვას გაძლევ, რომ...

მართა — ნოდარ, სიტყვას ნუ აძლევ, ჯერ მე შემითანხმდი.

ნოდარი — ხომ შემპირდი! (ბრაზით) ახლა ისე გავგრაზდი, ისე გავგრაზდი, პიონერისათვის ტირილი რომ სირცევილი არ იყოს, უთუოდ ვიტირებდი.

ქეთევანი — ეგ არ ვარგა.

ნოდარი — ვიცი, რომ არ ვარგა, და მეც იმიტომ არ ვტირი.

ქეთევანი — კარგი, დამშვიდდი, მეც დაგეხმარები, და მართას წერა-კითხვას უთუოდ ვასწავლით. მართა, ახლა ჩენ კინოში მივდივართ, შინ შენ და ნოდარი რჩებით. ხვალ თქვენ ორივე წახვალთ, სახლი არ დატოვოთ.

გენადი — თუ ვინმემ დარეკოს, უთხარით, რომ შინ 10 საათის შემდეგ ვიქნებით. ჰო, კინალამ დამაგიშვდა ჩემი კაბინეტი დამეკეტა (მიდის და კეტავს, თავისი კაბინეტის კარის გასაღებს ჯიბეში ჩაიდებს). ფრთხილად იყავით, სახლში არავინ შემოგეპაროთ.

მართა — სახლს არ გაესცილდები.

ქეთევანი — ნოდარ, შენც ხომ არ გინდოდა ჩენ-თან წამოსვლა?

¹ იხ. „პიონერი“ № 5.

ნოდარი — არა, დღეს არა, ხვალ კი მე და მართა ერთად წავალთ.

გენადი — კარგი, კარგი, მაშ ჩვენ წავედით. თუ წესიერად იქნებით, ტკბილეულს მოგიტანთ.

ჭკუით იყავი, ნოდარ, მართას ნუ შეაწუხებ. ქეთევანი — აბა თქვენ იცით (ქეთევანი და გენადი გადიან).

ნოდარი — წავიდნენ. ახლა როგორ მოვიქცე, განვაგრძოთ მეუადინეობა თუ არა?

მართა — არა, დღეს გვეყოფა, ავადა ვარ.

ნოდარი — მაშ დაისვენე.

მართა — გმადლობ.

ნოდარი — შეგიძლია ზლაპარი მიაშბო?

მართა — არა.

ნოდარი — შეგიძლია მიმღერო რამე?

მართა — არა.

ნოდარი — შეგიძლია ვიცექვოთ?

მართა — არა.

ნოდარი — არა, არა, არა და არა! რა მოგივიდა?

მართა — თავი მტკივა.

ნოდარი — არ მატყუებ?

მართა — არა.

ნოდარი — მაშ მე მომწყინდება.

მართა — წადი შენს ამხანაგ შალვასთან.

ნოდარი — მამამ აკი თქვა ოთახს მარტო ნუ დატოვებო.

მართა — ეგ მე მითხრა, შენთვის ხომ არ უთქვამს.

მე უნდა ვიყო ოთახში და ყველაფერს ვუთვალთვალო.

ნოდარი — ვერ წავალ.

მართა — რატომ?

ნოდარი — მექითხები, შენ კი არ იცი, რომ არ შემიძლია, მართა. მე რაზმში მიამბეს, მამამაც ბევრი რამ მიამბო ჯაშუშების შესახებ, ისინი იპარავენ საიდუმლო ქალალდებს, ცნობებს ჩენი მტრების სასარგებლოდ. დიდი სიფხიზლეა საჭირო, ძალიან დიდი.

მართა — მე სიფხიზლე არ მაკლია, შემიძლია მთელი ღამე არ ვიძინო, სოფლად ჯერ არ მახსოვს, რომ ჩემთვის ქორს წიწილა წაერთმიოს.

ნოდარი — ქორი სხვაა, ქორი პირდაპირ დაგეცემა, ხედავ, ჯაშუში კი, თურმე, ქორზე საძაგელია, შემპარავი, პატიოსანი კაცი გეგონება და, თურმე, ჯაშუშია.

მართა — ნუ შიშობ, ჩემგან ვერაფერს გაიტანენ.

ნოდარი — მოგატყუებენ. აი, მაგალითად, შენთან რომ მოხუცი ბიძა დადის, მე რაღაცა არ მომწონს.

მართა — რას ამბობ?

ნოდარი — რაღაც საეჭვოა, მე მასზე უკვე ვილაპარაკე რაზმში, უნდა ვუთვალთვალოთ. რა ვიცი, იქნებ ის ბიძაშენიც არ არის, იქნებ ჯაშუშია.

მართა — რას სულელობ, მან გამომზარდა, ლოთობა უყვარს, ეგ არის და ეგ მისი ცუდი მხარე. შენ ძალიან ეჭვიანი ყოფილხარ. იქნებ ჩემზეც გაქვს ეჭვი?

ნოდარი — შენზე? როგორ გეკადრება! თუმცა არ გამემტყუნება, რომ შენთანაც ფრთხილიად ვიყო, მაგრამ მართა ჩენია. ხომ ასეა? შენ არა, მართა, შენ ჩენი ხარ.

მართა — ასეა, ასე, ნოდარიკო, მე ხომ მამა მენ-შევიქებმა მომიქლეს! ეს, რომ მომაგონდება... წადი, ნოდარ, შენს ამხანაგებთან, მე ცოტა საკერავი მაქს, მერე თავი მინდა დავიბანო და გაძლევ პატიოსან სიტყვას, რომ ფხიზლად ვიქნები. წადი, გაერთე.

ნოდარი — მეც მინდა წავიდე, მაგრამ ვიცი შენ მოგწყინდება. გინდა გიმღერო რამე?

მართა — არ მინდა.

ნოდარი — მოსაწყენი ხარ, მართა, სასტიკად მოსაწყენი. მაშ მე წავალ.

მართა (თავისთვის) როდისლა (ნოდარს) ვერაფრით გართობ, თავი მტკივა. ეს, ცუდ ბედზე ვარ გაჩენილი. შენ ეტყვი მშობლებს მართა მაჯარებსო, და ისინიც, ალბათ, დამითხოვნო. რაღა ვენა მაშინ? (იცრემლება).

ნოდარი — ნუ ფიქრობ, თითქო მე ასეთი საძაგლი ვარ, პირიქით, მშობლებმა რომ განიზრახონ შენი დათხოვნა, მე შენ დაგიცავ, იცი, მართა? დედა და მამა ამასწინათ ძლიერ გაქებდნენ, მუყაითი მშრომელია.

მართა — მართლა?

ნოდარი — პიონერულ სიტყვას გეუბნები!

მართა — მაშ არხეინად წადი, წადი, გაერთე, ნოდარ, სახლის ნუ გეფიქრება.

ნოდარი — მიღდივარ.

მართა — არ მოიწყინო, მშობლების მოსვლამდის დაბრუნდი.

ნოდარი — უსათუოდ (გადის).

მართა — (აიღებს რაღაც ნაჭერს და კერავს, თან მღერის).

სიკვდილი ყველას ხვედრია, ვერავინ დაეუარება, ვეება მუხას წააქცევს, თუ მატლი შეეპარება.



(ჩუმად განაგრძობს ლილის, ადგებია, დაკუტავს კარს, საიდანაც ნოდარი გავიდა, მერე გა-აღებს ფანჯარას და გადაიხედავს). იგვინებს ბებერი ძალით. (გამობრუნდება, მიღის გენალის სამუშაო რთახის კართან, უბიდან ამოიღებს რამდენიმე გასა-ლებს და გააღებს კარს, სასწრაფოდ შედის გენადის რთახში. მოჩანს, თუ როგორ გააღო მართამ გენ-ადის მაგილის უჯრა; ამოიღო რაღაც ქალალდები და უბის წიგნაჟში რაღაცას სასწრაფოდ იწერს: უცებ გაისმის კაკუნი, მართა გამოიჭრება ოთახი-დან, კეტავს კარს. ისევ კაკუნი) დავიღუპე, ვინ არის?

მართა — მართა შინ არის?

მართა — ვინა ხარ?

მართა — მე ვარ მარკოზი.

მართა — ეშმაკმა დაგწყველოს (ულებს კარს).

(შემოდის უცნობი):

უცნობი — როგორ არის საქმე?

მართა — კარგად.

უცნობი — საინტერესო საბუთებია?

მართა — ძალიან.

უცნობი — ამოიჭრები?

მართა — ცოტა, შენ შემიშალე ხელი.

უცნობი — დაქეტე კარი (მართა კეტავს კარს) რისი ამოწერაც შეიძლება, ამოვიჭროთ, რაც არა და, მაგალითად, ნახაზები ხიდების მშენ-ებლობისა, საიდუმლო...

მართა — ლაყბობის ღრი არ არის; რაც საჭიროა ავკრიბოთ და გავიტაცოთ, თორებმ, ვატყობ; აქ უკვე სუნი აქეს აღებული ნოდარს; შენს შესახებ პიონერთა რაზმში დაუსვამს საკითხი; საეჭვოაო.

უცნობი — გველის წიწილი!

მართა — შენს თვალებში მაინცა ჩანს ძველი პოლ-კოვნიკი.

უცნობი — ჩუმად. შევუდგეთ საქმეს.

მართა — ახლავე. (აღებენ გენადის ოთახის კა-რებს, ორივენი შედიან შიგ, სინჯავენ ქალალ-დებს). იქ მთელი სამხედრო საიდუმლოება, ნახაზები სანგრებისა, ხიდებისა.

უცნობი — აქ მოიტა (ქალალდებს უბეში ჩაიწყობს) ეს რაღა (ათვალიერებს ქალალდს) ოჭო, ეს კი ძვირფასია: სამხედრო ქარხნის მშენებ-ლობა! ეს კარგი ნაპოვნია (ჩაიდებს უბეში, ქექავენ იქაურობას, ძალიან გართულნი არიან).

(შემოდიან ნოდარი და შალვა).

ნოდარი — (აღებს კარს ფრთხილად და შემოდის) ჩუმად, ალბათ, სძინავს საბრალო მართას.

შალვა — დაღლილი იქნება, რად წაჭომიყვანე აქ, ჩეენ სახლში გვეთამაშა.

ნოდარი — (შეამჩნევს, რომ მამაშისის ოთახი ღიაა) შალიკო, მოიცა!

შალვა — რა მოხდა?

ნოდარი — ჩუმად! ხედავ, მამაჩემის ოთახის კარი ღია! მისი გაღების უფლება არავის ჰქონდა, მოიცა (მიღის, უთვალთვალებს, გაიგებს რა-შიც არის საქმე, უკანვე სასწრაფოდ გამო-





ბეჭედია) შალიკო, შენი ჭირიმე; გაიქეცი და
მამაჩემს აცნობე — შენს ოთახში ჯაშუშე-
ბიათქო.

შალვა — ჯაშუშები?

ნოდარი — ჰო, ჰო, ნუ აგვიანებ!

შალიკო — სად იქნებან?

ნოდარი — კინო „ოქტომბერში“. შეიძლება გზა-
შიაც შემოგხვდნენ კიდეც. გაიქეცი, მე ამათ
შევაჩერებ:

შალვა — ახლავ! (გარბის):

ნოდარი — (ნერვიულობს) ჯაშუშები, ძალლები! აი
ვინა ყოფილა ჩვენა მართა! (მიდის, უთვალ-
თვალებს) კარგი ვქენი; რომ არ ვენდე და
დავგბრუნდი.

უცნობი — გვეყოფა, ყველა საიდუმლო ქალალი
ჩვენ ხელთ არის, გავიქცეთ.

მართა — ერთად წავიდეთ?

უცნობი — ერთად.

მართა — მოიცა, დავათვალიერებ (უნდა გამოყი-
დეს, გამოღვა ფეხი კარებში).

ნოდარი — (სკამს ხელს დაავლებს) არ გამოხვი-
დეთ, თორემ გესვრით!

მართა — (ადგილზე გაშეშდება) ნოდარ!

ნოდარი — შედი ოთახში, ჯაშო!

მართა — ნოდარ!

ნოდარი — თავს გაგიხეთქავ!

მართა — ჩუმად, ნუ ყვირი! (გამოღის)

ნოდარი — ადგილიდან არ დაიძრა, თორემ ყვი-
რიღს მოერთავ, მთელ ხალხს შევყრი!

მართა — (უცნობს) გამოღი, ერთი ბავშვია.

უცნობი — (გამოიჭრება ოთახიდან, ნოდარი სკამს
ესვრის, სკამი ხელზე მოხვდება) ძალლო!

ნოდარი — ადგილიდან არ დაიძრა!

მართა — რა გაჩავლებს, ჩვენ ისე... (ალერსით)
ნოდარიკო, ჩუმად...

ნოდარი — არ მომეკარო!

მართა — ჩვენ ისე... (უახლოვდება, მკლავში ხელს
წაავლებს) სად გარბიხარ!

უცნობი — ძევე შიგახრჩოთ.

ნოდარი — (ხელიდან დაუსხლტება) შიშველვა
(ოთახში დარბის)

უცნობი — მართა, კარებთან დადექი, არ გაგვი-
ქცეს.

ნოდარი — (დარბის ოთახში, თან ყვირის) არ
მომეკაროთ, მიშველეთ!

უცნობი — (ნოდარს კუთხეში მიმშველევს, დაი-
ჭირს) ძალლის ლეკვო! დაგახრჩობ! (ნოდარს
პირზე ხელს აფარებს; ნოდარი უკბენს) იქბ-
ნები, უხ...

მართა — ჩქარა მოახრჩე!

უცნობი — ახლავ! (ნოდარს ყელში სწვდება, ახრ-
ჩიბს) (შემოლიან გენადი, ქეთევანი და შალვა)

გენადი — (ქეთევანთან ერთად შემოიჭრება რე-
ვოლვერით ხელში) ხელები ზევით!

უცნობი — (ნოდარს ხელს უშვებს) ჯანდაბა...
მართა — ვამე!

გენადი — ასწით ხელები! (მართას) ქალბატონო,
აქეთ მობრძანდით!

ნოდარი — დედა, დედიკო! (ქეთევანს მოეხვევა)
აი ვინ ყოფილა მართა, მოსამსახურის ნილაბით!
სიფხიზლე, ქეთევან, სიფხიზლე ვერ გამოვიჩი-
ნეთ! გმიდლობთ, ნოდარ, შეილო, გმადლობთ!

(მოისმის ავტოს გუგუნი) აბა მიბრძანდით,
მიბრძანდით!

ნოდარი — სად მიგყავთ, მამა?

გენადი — მანქანა მოვიდა, წაიყვანენ, სადაც ჯერ
არს (მართა და უცნობი გაჰყავთ).

ნოდარი — შალიკო, ბიჭო, კინაღამ არ დამახრ-
ჩეს! ხეალვე პიონერთა რაზმს ვაცნობოთ ეს
ამბავი. სიფხიზლე, სიფხიზლე, მთავარია
სიფხიზლე, რადგან მტერი ათასნაირ ნილაბს
იკეთებს, და ჩვენც უნდა შევძლოთ მისი ათას-
ნაირად გამოცნობა.



ამბავი ტყები



1.

... ჰოდა, ერთხელ, ერთ ხშირ ტყეში,
სადაც მხეცნი შიშს არ გრძნობდნენ,—
ერთ ფულურო ხნიერ ხეში
დათუნები ასე ბჭობდნენ:

— ჰმ! ჩვენც ვიტყვით დედა გვყავსო!
რა გვინახავს ჩენ მის ხელში?
ტორებს გვიშენს, გვიფლეთს ტყავს და
გვაბურთავებს გორვით მტვერში.

რად არ გვეტყვის რა შევცოდეთ,
რად გვიწყრება ასე ხშირად?
თუ ვვყვარვართ, რალად გვტუქსავს,
რისთვის გვშობა ჩვენდა ჭირად?

იქნებ ვჭულვართ?! მაშ ხანდახან
რად გვიხუტებს გრძნობით გულში?
ნუთუ ღვარძლიც ურევია
მის მშობლიურ სიყვარულში?!

2.

როცა დათვი მოძუნძულდა
და ბუნაგში შერგო თავი,—
ერთად წარსდგნენ ბელები და
გაუმჯობენეს სამდურავი.



თუმცა შეილთა საყვედურმა
დედა ძლიერ შეაწუხა,
მაგრამ მაინც მათ საჩივარს.
სრულ სიჩუმით უპასუხა.

3.

და როცა მზე დიდებული
მთის მწვერვალზე დროშას შლიდა,
როცა ტყეში ნაკადული
ღულუნებდა ნაზად, მშვიდად,—

დათვს ეძნა... მისი ხვრინვით
ბელებს ვეღარ მოესვენათ,
გალვიძებაც ვერა ჰკადრეს,
ისეთ მხეცად მოეჩვენათ.

აწუხებდა, ალბათ, კუჭი,
ალბათ, ძილში დათვს შიოდა:
ალმას კბილთა კრაჭაკრუჭით
ელვის შუქი გამოკრთოდა.

4.

ჩუ! ყრუ ტყეში შორიახლოს
ატყდა რალაც ხმაურობა:
მეძებრების ყეფას ჰეგდა,
კვალს ეძებდა კაცის მტრობა.

აიშალნენ ფრინველები,
აჭარჭახდა ჭალის შაშვიც,
განგაში და შეძახილი
დაგორავდა მთიდან მთაში.

გაელვიდა უმალ დათვსაც,
თვალებიდან ცეცხლსა ყრიდა,
გაწეებითო ბალახებზე,—
უთხრა შვილებს მტკიცედ, მშვიდად
და წინ გახტა... მონაღირეც
გაჰყა... ბუნაგს გაერიდა.

მირბის დათვი... მონადირემ
დაუშიზნა ხელად თოვი,
იგრიალა, ვერ მოარტყა,
მოერია პირზე ცოფი.

დათვი უფრო გამდვინვარდა,
მონადირე დასცა ძირსა,
მაგრამ კაცი, გონიერი,
თავს დაალწევს გასაჭირსა.



არ დაიბნა, მოისაზრა:
გაუყარა ფერდში დანა,
ილმუვლა და მოწყდა დათვი,
დანით თავქვე დაექანა.

5.

ტყის ბუნავში მარტოდ, ობლად
დათუნები ცრემლებს ღვრილნენ
და განჭირულ დედის ქცევას
უსაფუძვლოდ ასე ხსნილნენ:

ტკუის წერად გაგვიმეტა
მოლალატე მშობელმაო,
მიგვატოვა, თავს უშველა
ჩვენმა უარმყოფელმაო.

ის კი, დათვი, დედა-დათვი,
შეხიზნოდა ღელუს ტყისას...
რა შებინდდა, სისხლდაცლილმა
მიაშურა ბუნავს თვისას,

მოეფერა პირმშო ბელებს,
უთხრა: კედება დედათქვენი...
ანდერძს ვტოვებ, დაიხსომეთ,
გადაეცით შვილთაც რწმენით:

ნუ შეაჩვევთ სინებივრეს,
ჩემებრ წვრთნიდეთ ბელებს ხშირად,
რომ ისწავლონ ხერხი, ბრძოლა
მტერთან მუდამ იყვნენ ფრთხილად.

ფხიზლობდეთ და თუ მოგესმათ
ფაჩუნი ან სტვენა ნელი,—
იცოდეთ, რომ ახლოსაა
ხიფათი და განსაცდელი.

ჩვილ შვილებს რომ ააშოროთ
შეპყრობა თუ ცხელი ტყვია,—
გაიტყუეთ მონადირე,
შორს ატარეთ, ვიდრე დღეა...

ესა თქვა და მოკვდა დათვი,
შეეწირა მსხვერპლად შვილებს
და მასაქეთ დათუნები
მიხვდნენ დედის გაკვეთილებს...



სამიართლა

/ უ გ ა ვ ი დ ი რ ი /

გ ლ ა კ ა რ ი /

შორეულ წარსულში ცხოვრობდნენ სამნი ძმანი. უფროსს ერქვა გაზი, საშუალოს — საბიტ და უმცროსს — ბახტი-ჯამალ.

ერთხელ ძმები თავის ბალში ჭას თხრიდნენ და წარწყდნენ ვება თიხის ქილას. ძმებმა გადაწყვიტეს ქილაში ოქროაო და ძლიერ გაეხარდათ. დაიწყეს ქილის ამოთხრა, მაგრამ შემოუღამდათ და ქილა მიწაში დატოვეს დილამდის.

გათხნდა თუ არა, გაიქცნენ ბალში, მაგრამ ქილა უგზო-უკველოდ დაკარგულიყო. ბევრი ექებდეს ბალში, მაგრამ ვერ ნახეს. ძმებს შორის დაიწყო დავა, თუ რომელმა მოიპარა ქილა. ამ დავას შეესწრო მეზობელი, მოუსმინა ძებს და უჩრა: აქედან სამი დღის სავალზე ცხოვრობს ბრძენი და სამართლიანი ბი¹), წადით და ის გაგასამართლებთო. ძმებმა დაუჯერეს და გაუდგნენ გზას.

მათ უნდა გაევლოთ მიყრუებული ველი. მხოლოდ მესამე დღეს შენიშნა უფროსმა ძმამ აქლემის ახალი ნაკვალევი.

ცოტა ხნის შემდეგ ძმებს დაეწია მოხუცი, რომელსაც მრავალი მსახური ახლდა. სიბრაზით მოხუცს სახეზე აღმური ასდიოდა.

— პატივცემულო მგზავრებო, — მიმართა მოხუცმა, — ხომ არ შეგხვედრიათ დატვირთული აქლემი? გაზი დაფიქრდა და უბასუხა:

— თქვენი აქლემი მარჯვენა თვალით ბრმა ხომ არ იყო?

საბიტმა დაუმატა:

— დატვირთული ხომ არ იყო იგი ცალ მხარეს შარბათით, ხოლო მეორე მხარეს ძმრით?

ბახტი-ჯამალმა კი დაამთავრა:

— დედაკაცს ხომ არ მიჰყავდა თქვენი აქლემი?

— ეს კველაფერი სწორეა, — უპასუხა მოხუცმა, მხოლოდ მითხარით, საით წავიდა იგი?

— აი იმ მხარეს წავიდა, — მიუთითა გაზიმ ნაკვალევისაკენ.

— დამცინით, განა! — გაცეცხლდა მოხუცი. — მხარს უჭერთ ქურდს, არა? მაგრამ მე ვერ მომატ-უუებთ!

ანიშნა მსახურებს და მათ მაგრად შეუკრეს უდანაშაულო ძმებს ხელები. მოხუცმა წინ წაიგდო ისინი. მიაღწიეს დიდ ქალაქს მდ. სირ-დარიას ნაპირას²). მიიყვანეს ძმები ბის სახლთან. ეზო ხალხით აივსო. ბრაზმორუელი მოხუცი გაჰკიოდა:

¹⁾ ბი — მსამართლე.

²⁾ სირ-დარია — მდინარეა შუა აზიაში.

— ბრძენო და სამართლიანი ბი, ლამე ცოლმა აქლემი მომპარა და დაიკარგა. დილით გავიგე და გამოვეკიდე. უდაბურ გზაზე შევხვდი ამ არაზადებს და შევეკითხე: აქლემს ხომ არ შეგვედრიხართ მეთქი? პასუხად უფროსმა დაცინვით მომიგო: თქვენი აქლემი მარჯვენა თვალით ბრმა ხომ არ არისო? შარბათითა და ძმრით ხომ არ იყო იგი დატვირთულიო? — საშუალომ დაუმატა. ქალმა ხომ არ მოიპარაო — ხელმობით დაამთავრა უმცროსმა. ჩემ კითხვაზე კი, თუ სად წავიდა აქლემი, არამზადები პასუხს არ იძლევიან.

ბიმ დამშვიდებით მოუსმინა მოხუცს და შემდეგ მიმართა უფროს ძმას:

— საიდან იცით, რომ აქლემი მარჯვენა თვალით ბრმა იყო?

— ბრძენო და სამართლიანი ბი, — უპასუხა გაზიმ, — მტკრიან გზაზე დავინახე აქლემის ნაკვალევი. მარცხენა მხარეს ბალახი შექმული იყო, მარჯვნივ კი ხელუხლებელი. აქედან დავასკვენი, რომ აქლემი მარჯვენა თვალით ბრმა იყო.

ბიმ მიმართა საშუალო ძმას.

— როგორ მიხვდი, რომ აქლემი შარბათითა და ძმრით იყო დატვირთული?

— ბრძენო და სამართლიანი ბი, გზის შარჯვენა მხარეს ბალახი მოფენილი იყო ბუზით, მარცხენა მხარეს კი ბალახი გაყვითლებული, გამხმარი იყო; ამით მივხვდი, რომ აქლემს შარბათი და ძმარი მიჰკონდა.

ბი მიუბრუნდა უმცროს ძმას:

— შენ როგორ გაიგე, რომ აქლემს ქალი მიჰკვებოდა?

— ბრძენო და სამართლიანი ბი, აქლემის ნაკვალევის გვერდით ვნახე იჩიბით¹⁾ შემოსილი ქალის პატარა ფეხების ნაკვალევი.

ბრძენი ბი ჩაფიქრდა და გავიდა ოთახიდან.

ცოტა ხნის შემდეგ იგი დაბრუნდა და ხელში ეჭირა თავდახურული ფიალა². მან მიმართა ძმებს:

— მითხარი, რა არის ამ ფიალაში?

გაზიმ აიღო ხელში ფიალა, შეანჯლრია და მცირე ფიქრის შემდეგ თქვა:

— ფიალაში რაღაც მრგვალი საგანია.

ბახტი-ჯამალმა გამოართვა ძმას ფიალა, უსუნა და გაეცინა.

¹⁾ იჩიბი-რბილი მაღალ ყელიანი ფეხსაცმელი.

²⁾ ფიალა — ჯამი.

— რაღაც მრგვალს სუნი არ აქვს, ბროჭეული იქნება.

ბრძენმა ბიმ ახადა თავი ფიალას, და ყველამ დაინახა ბროჭეული. ბი მიუბრუნდა მოხუცს:

— შენ უსამართლოდ დასწამე ამ ხალხს ქურდობა. მე გაჯარიმებ 50 ტილენით¹⁾.

მოხუცს შერცხა და თავის გასამართლებლად რაღაც წაიბუტუტა. ბახტი-ჯამალი მივიდა მასთან და უთხრა:

— მართალია, შენ შეურაცხყოფა მოგვაყენე, მაგრამ გვიპატიებია. დაბრუნდი იმ ადვილს, სადაც შევხვდით ერთმანეთს, და მარჯვნივ შეუხვიე, იქნებ დაეწიო შენს აქლემს.

მოხუცმა აიწია ხალათის ბოლოები. და გაიქცა.

ბრძენმა ბიმ მიიწვია გულკეთილი ძმები და გასცა ბრძანება მიერთმიათ მათთვის ცხვრის ხორცი და ღვინო, თვითონ კი გაემგზავრა ხანის სასახლეში.

— დიდებულო ხანო, — თქვა მან, — მე შევხვდი სამ ბრძენ ძმას, ისინი შენს ვეზირებზე გონიერნი არიან.

ხანმა ბრძანა მიეყვანათ ძმები მის სასახლეში.

სამ ძმაში ხანს უფრო ბახტი-ჯამალი მოეწონა და გახადა იგი მთავარ ვეზირად. წესის თანახმად, ყოველი თითო-თითო ვეზირი უნდა ყოფილიყო ხანის მცველად. ერთ ღამეს, როცა მცველად ბახტი-ჯამალი იყო, მას მოესმა რაღაც სისინი. ფრთხილად მივიდა ხანის ლოგინთან და შიშით გაშეშდა: ხავერდის ბალდახინჟ ხანის თავთან ნელა მობობლავდა უზარმაზარი მახრინბელი გველი. გველმა დაინახა თუ არა ბახტი-ჯამალი, გამოყო გრძელი, ვიწრო ენა და დააშტერდა თავისი საზარელი თვალებით.

ბახტი-ჯამალი გაშეშდა და თვალს ვერ აშორებდა.



¹⁾ ტილენი — ოქროს ფული.

ბახტი-ჯამალმა, როგორც იყო, მოიკრიბა ლონე, მოაშორა გველს თვალი, სტაცა ხელი ხანის ხმალს და შოპ-კვეთა გველს თავი. შემდეგ დამალა გველის თავი ხალიჩის ქექშ და იწყო ხმლის ფრთხილად ქარქაშში ჩაგდება.

ფოლადი აწერიალდა და ხანს გაეღვიძა. ბახტი-ჯამალი ფრთხილად გავიდა ოთახიდან, მხდალი გული შიშით აეგვსო.

— რად აწერიალდა ჩემი ხმალი, რატომ ქანაობს ის კედელზე²⁾ ალბათ, ვეზირს ჩემი მოკვლა უნდოდა!

ბახტი-ჯამალი ხანმა ციხეში ჩააგდებინა და ყველა ვეზირი თაბბირზე მოიწვია. ხანმა უამბო ვეზირებს იმ ღამის ამბავი და შეეკითხა, თუ როგორ უნდა მოექცეს იგ კაცს. ვეზირებს ბახტი-ჯამალი ეჯავრებოდათ მისი ჭკუისა და მოხერხებულობის გამო და თქვეს:

— ტაქსირ¹⁾ თქვენ დაიახლოვეთ ვიღაც ვიგინდარები, ჩვენ კი, თქვენი ერთგული მსახურები, ჩამოგვიშორეთ. ბახტი-ჯამალს სურდა თქვენი მოკვლა და თქვენი ხაზინის ხელში ჩაგდება. იგი დაუყოვნებლივ სიკვდილის ღირსია.

ხანმა გასცა ბრძანება მოეცემათ თავი ბახტი-ჯამალისათვის. აქ წინ წამოდგა გაზი და თქვა:

— ტაქსირ! შორეულ წარსულში ერთი ხანი წავიდა სანადიროდ და წაიძოლოდა თავისი საყარელი მიმინო. არხარების²⁾ დევნაში მას გზა აებნა უწყლო და ცხელ ველებში. წყურვილისა და ბევრი სიარულისაგან ღონემახდილი ხანი დაეშვა უზარმაზარი კლდის ჩრდილში. მისი ყურადღება მიიპყრო კლდის მწვერვალიდან ჩამონაწვეთმა მსხვილმა გამჭვირვალე წვეთებმა. მაშინვე შეუშვირა ჯამი. ჯამი აიგისო, და ხანმა მიიტანა იგი პირთან, მაგრამ მიმინო ეცა, გაპერა ჯამს ფრთა და გააგდებინა ხელიდან ხანს, ხანმა მოისვა ენა დახეთქილ ტუჩებზე, აიღო მიწიდან ჯამი და ისევ შეუშვირა წყალს. მაგრამ წვეთები შემცირდა და ბოლოს სულ შეწყდა. ჯამში შეგრივდა მხოლოდ ერთი ყლაპი. ხანმა მიიტანა ჯამი პირთან, მიმინომ კი ისევ გაპერა ფრთა და ძეირფასი წყალი შთანთქა მშრალმა მიწამ. ხანს ბრაზი მოერთა, სტაცა ხელი მიმინოს და თავი წააგლიჯა. მერე აცოცდა მწვერვალზე, რომ წყურვილი იქ მაინც მოექლა, და იქ, მწვერვალზე, ნახა უზარმაზარი გველის ლეში. სიცხისაგან გველის შეამიანი ქონი გამდნარიყო და გამჭვირვალე წვეთებად ვარდებოდა კლდიდან. შეწუხდა ხანი და ცრემლი მოერთა.

— ბრძენ ფრინველო, შენ დამიცავი მე სიკვდილისაგან, ნახევარ ჩემს სიმდიდრეს მიუცემდი, რომ შეიძლებოდეს შენოვის სიცოცხლის დაბრუნება! — თქვა მან.

¹⁾ ტაქსირი — ბატონი.

²⁾ არხარ — მთის თხა.

აი, ჩემო დიდებულო ხელმწიფევ, — დაამთავრა
გაზიმ, ნუ აქარდები, და ჯერ თვითონ ბახტი-ჯა-
მალს ჰყითხე.

ვეზირები კი მოითხოვდნენ ბახტი-ჯამალის დაუ-
ყოვნებლივ სიკვდილით დასჯას. მაშინ საბირება მი-
მართა ხანს:

— ტაქსირ! შორეულ წარსულში ერთ ხანს ჰყავ-
და თუთიყუში, მსოფლიოში არ მოიპოვებოდა მას-
შე ლამაზი ფრინველი. მისი ფრთები ცისარტყელა-
სავით კაშკაშებდნენ და მდიდარ ქვებივით ღელავ-
დნენ. მაგრამ თუთიყუშის მთავარი ღირსება მისი
სიბრძნე იყო. ხანი ძალიან აფასებდა მას და ოქ-
როს გალიაში ინახავდა.

ერთხელ თუთიყუშმა სამშობლოში წასვლის ნე-
ბართვა ითხოვა და აღრე დაბრუნებას ჰვირდე-
ბოდა.

ხანმა უარი უთხრა.

დაღონდა ბრძენი თუთიყუში, აბუზული იჯდა
ოქროს გალიაში და არავის არ აქცევდა ყურად-
ღებას.

ამ დროს ხანის სასახლეს ეწვია ვაჭარი საუც-
ხოო საქონლით: ჰერნდა სირაქლემას ფრთები, სპი-
ლოს ძვლის ნივთები, აბრეშუმის წმინდა ქსოვილე-
ბი და ოქროს საუცხოო მოსართვები. ხანმა დაუწ-
ყო ვაჭარს გამოკითხვა:

— სად იშვევ მშვენიერი ნივთები?

— დიდებულო ხან! — უბასუხა ვაჭარმა. —
შორს, მთის იქით, გადაშლილია ვეება ზღვა, ზღვის
იქით თუთიყუშების მხარეა. იქ სიცივე არ იცის,
ხალხს ნახშირივით კანი აქვს. მათგან შევიძინე ნივ-
თები, რომლებიც ასე მოეწონა ჩემს ბატონს.

ხანმა უხვად დაასაჩუქრა ვაჭარი და გაისტუმრა.

როცა ვაჭარი ოქროს გალიას მიუახლოვდა, თუ-
თიყუშმა დაუძახა და უთხრა:

— როცა ისევ მოხვდებით იმ ჯადოსნურ ქვე-
ყანაში და ტყეში თუთიყუშებს შეხვდებით, გადაე-
ცით ჩემგან სალამი, უთხარით, რომ მე ოქროს გა-
ლიაში ვიტანჯები, სთხოვეთ მომცენ რჩევა, რო
გორ გავითავისუფლო თავი ამ მძიმე ტყევიბიდან.

რამდენიმე ხნის შემდეგ ვაჭარი ისევ წავიდა იმ
მშვენიერ ქვეყანაში და ნახა ტყეში თუთიყუშები,
გაახსენდა დავალება და შეაჩერა ქარაგანი.

— მშვენიერო თუთიყუშებო, თქვა მან, — შორს,
ზღვისა და მაღალი მთების იქით, ძლიერი ხანის სახლ-
ში, ოქროს გალიაში იტანჯება ბრძენი თუთიყუში.
ის გთხოვთ რჩევას, თუ როგორ განთავისუფლდეს.

პასუხის მაგიერ თუთიყუშები უსულოდ ჩამოც-
ვივდნენ ხიდან, გაკირვებულმა ვაჭარმა გაიქნია
თავი და გაუდგა გზას.

ვაჭარი კვლავ მოხვდა დიდებული ხანის ქვეყანა-
ში, მიგიდა თუთიყუშის გალიასთან და უთხრა:

— ვიყავ თქვენს სამშობლოში და ვნახე თქვე-
ნი ამხანაგები. გადავეცი თქვენი დავალება და პა-
სუხის ნაცვლად ხიდან უსულოდ ჩამოცვიდნენ.

ბრძენი თუთიყუში ჩამოვარდა ქანდარიდან და
დაეცა ოქროს გალიას ფსევრზე.

ვაჭარი ვაიქცა ხანის რისხვის შიშით.

როცა მხლებლებმა მოახსენეს ხანს თუთიყუშის სიკვდილის შესახებ, ხანი სიბრაზით ათროთლდა და
ბრძანა დაუყოვნებლივ მოეკვეთათ მათოვის თავი ამ
ცნობისათვის, მერე მოითხოვა მოერთოთ შვენიე-
რი თუთიყუში, დადო იგი ოქროთი მოქარგულ აბ
რეშუმის ბალიშზე და წაიღო ბალში დასასამარებ-
ლად. გაიტანა თუ არა ხანმა თუთიყუში ბალში,
მან გაშალა ფრთები და აფრინდა. გაკვირვებული
ხანი უძრავად იდგა, თუთიყუში კი მხიარულად იცი-
ნოდა და თქვა:

— დიდებულო ხან! მე მინდოდა ცოტა ხნით
წაგსულიყავი სამშობლოში, მაგრამ თქვენ ნება არ
მომეკით. მივმართე ეშმაკობას და თავისუფალი
ვარ. ახლა გაგარათი ჰქუნაკლებმა ვეზირებმა.

ხანი ეხვეწებოდა:

— ჩემო მშვენიერო თუთიყუში, მე არ შემი-
ლია არ ვისმინო შენი ტიკტიკი, შენი ბრძნული
რჩევა! აღარ დაგამწყვდევ გალიაში, ჩემი ტახტის
თავზე იქნება შენთვის საპატიო აღვილი, ჩემ მთა-
ვარ ვეზირად გაგხდი, ოღონდ დაბრუნდი.

თუთიყუში დაპირდა დაბრუნებას ორი წლის
შემდეგ და გაფრინდა სამშობლოში. განვლო რომა
წელმა. მშვენიერი თუთიყუში უკან დასაბრუნებლად
ეწიადებოდა და ხანისათვის საჩუქრის არჩევას
შეუდგა.

ყველაზე ხნიერმა თუთიყუშმა ურჩია: წაეღო ხანს
უავი და თეთრი თუთის თესლი, მათ აქვთ ჯადოს-
ნური თვისება: თუ თეთრწვერა ადამიანი შეჭამს შავ
თუთას, მისი წვერი მაშინვე ნახშირივით შავი გახ-
დება, მაგრამ შეჭამს თუ არა თეთრ თუთას, იმ
წამსვე ისევ გაუთეორდებაო. მშვენიერი თუთიყუში
დაბრუნდა ხანთან. მიართვა მას თუთის თესლი და
აუხსნა მისი ჯადოსნური თვისება.

ხანმა მაშინვე გასცა ბრძანება, რომ მებალეს
დაეთესა თესლი. რამდენიმე წლის შემდეგ გაიზარდა
დიდი თუთის ხე, რომელიც უხვად ისხამდა შავ და
თეთრ თუთას.

ამ დროის განმავლობაში ხანი უკვე მოხუცდა
და წვერი გაუთეორდა. ერთ ღლეს მოითხოვა შავი
თუთა, და ის იყო აპირებდა მის მირთმევას, რომ
მეორე ვეზირმა უთხრა:

— შეჩერდი, ტაქსირ, განა უკეთესი არ იქნება
თუთის ჯადოსნური თვისება ჯერ სხვაზე გამოსცა-
დო? ვაი თუ სრულიად დაკარგო. შენი საუცხოო
მორთულობა, მშვენიერი წვერი!

ხანი დათანხმდა და ბრძანა მოეყვნათ ორი ავა-
ზაკი, რომელთაც მისჯილი ჰერნდათ სიკვდილი, და
უბრძანა მათ შეეჭამათ ჯადოსნური მარცვლები. ჩა-
ყლაბეს თუ არა ავაზაქებმა თუთა, დაეცნენ მიწა-
ზე და რამდენიმე წუთში საშინელი ტანჯვით და-
ლიეს სული.

ხანი განციფრდა, შემდეგ შემოიხსნა ოქროს
ჯაჭვი და აჩუქა მეორე ვეზირს, რადგან სიკვდილს
გადამარჩინე, ისევ გიბოძებ პირველ ვეზირობასო.
გაბრაზებულმა ხანმა სტაცა თუთიყუშს ხელი, მოწ-
ყვიტა თავი და ბრძანა ნაგვის ყუთში გადაეგდოთ.

ამის შემდეგ თუთის ხეს „სიკვდილის ხე“ დაერქვა და ზალხს მასთან მიახლოებისაც კი ეშინოდა. ერთხელ ხანთან ღარიბი კაცი მივიდა.

— ბრძენ ხან! სიცოცხლე გამიტირდა და თავის მოკვლა გადავწყვიტე. მოვირბინე „სიკვდილის ხესთან“ და შევჭარ რამდენიმე თუთა. სიკვდილს ვერ ვეღისაჲ! მაგრამ წვერი გამიშავდა. მაშინვე ვეცი თეთრ ხეს, და არც მან მომცა სიკვდილი, მაგრამ შავი წვერი კი ისევ გამითეთრდა.

უნდობლად უსმენდა ხანი ღარიბს, მთავარი ვეზირი კი მიიმალა. ხანმა ბრძანა მოერთმიათ მისთვის ჯადოსნური მარცვლები და მოყვანათ დამალული ვეზირი. მოართვეს მარცვლები. ხანმა გადაყლპა შავი თუთა და წვერი გაუშავდა. გადაყლპა თეთრი — წვერი ისევ გაუთეთრდა.

მოიყვანეს ვეზირიც, რომელიც დამალულიყო თუთის ხის ხშირ შტოებში. განრისხებულმა ხანმა უბრძანა მართალი ალეარებინა.

— დიდებულო ხან — თქვა ვეზირმა — მას შემდეგ, რაც თუთიყუში დანიშნე მთავარ ვეზირად, ის შევიჯავრე მთელი ჩემი არსებით და შემთხვევას ვიწებდი, რომევნო მისთვის. როდესაც თქვენ ისურვეთ ჯადოსნური თუთის გამოცდა, მე დავყარე მარცვლებს საშინელი საწამლავი. ასეთი გზით მოვიშორე თუთიყუში და გავხდი მთავარ ვეზირად.

განრისხებული ხანის ბრძანებით ვერაგი ვეზირი თუთის ქვეშ მოჰკლეს. დაგორდა თუ არა ვეზირის თავი მიწაზე, მიწა გაიპო და იქიდან ამოფრინდა მშვენიერი ბრძენი თუთიყუში.

ხანი განცვითურდა, მსახურები კი შიშით მიწაზე დაეცნე.

— ტაქსირ, ვეღარასოდეს ველარ დამინახავ, ვჟიდობით, მაგრამ გახსოვდეს, რომ გყვდა ერთგული მსახური და შენი ხელით მოკალი იგი.

— ბრძენ თუთიყუშო! — აღრიალდა ხანი. — დაბრუნდი და ისევ გაგხდი მთავარ ვეზირად, ჩაგაბარებ ხაზინის გასალებს და შენ იქნები ჩემი სულის ჩამდგმელი!

— არა, ტაქსირ! შენი ხაზინის ფულები მრავალი ღარიბის ცრემლითა და ოფლით არის დანამუშაველი. ვარჩევ გავფრინდე ჩემ სამშობლოში, დავშორდე ივ ხანს და მის მკაცრ ვეზირებს.

ფრთა ფრთას შემოჰკრა და აფრინდა.

დიდხანს აღევნა ხანმა თვალი ფრინველს და როცა იგი მიიმალა, დაბლა დალუნა თავი...

— დიდებულო ბატონო! არ ჯობს მოისმინო რას იტყვის ბახტი-ჯამალ? მისი სიცოცხლე თქვენს ხელშია, მოკვლას ყოველთვის მოასწრებთ.

ხანმა მოყვანინა ბახტი-ჯამალი ციხიდან.

ვეზირებს ბრაზი მოერთა, მსახურებს კი ძალიან უყვარდათ გულკეთილი ბახტი-ჯამალი და ჩემარბდნენ ხანის ბრძანების ასრულებას.

ხანი გადაწვა ტახტზე და ბრძანა:

— რით გაიმართლებ თავს?

— არ ვიცი რას მაბრალებთ, — მშვიდად მაუგრძელებელი ბახტი-ჯამალმა. წითურმა ვეზირმა დაუსისინა.

— ნუ იყარუნებ თავს, შენ ჩვენ დიდებულ ხანს მოკვლას უპირებდი, აი დამამტკიცებელი საბუთი! — და დაავლო ხელი მაგიდაზე დადებულ ხმალს.

— დიდებულო ხანო, — მშვიდად თქვა ბახტი-ჯამალმა, — მომხსენ თოვე და გამომყევ.

ხანმა ბრძანა შეეხსნათ თოვები ბახტი-ჯამალი-სათვის. შევიდნენ საწოლ ოთახში, მათ ამალა მის-დევდა უკან.

საწოლ ოთახში ბახტი-ჯამალმა გადასწია ხალი-ჩა და მიუთითა მკედარ გველზე.

— მე სიკვდილს გადავარჩინეთ, თქვენ კი თავის მოკვეთას მიპირებთ! მშვიდობით, უმაღურო ხანო, იმსახურე ჩერჩეტი ვეზირები!

ბახტი-ჯამალზა ძმებითურთ დატოვა ხანის სასახლე.

დიდი გზის შემდეგ მიაღწიეს თავის ყიშლალს. სახლთან შეხვდნენ მეზობელს, რომელსაც სახეზე დამწერის ნაკვალევი ემჩნეოდა.

— პატივცემულო მეზობელო, რა დაგმართა?

მეზობელი დაეცა მიწაზე, იცემდა გულში მუშტებს და ტიროდა.

— ბრძენო ძმებო, ძალიან დამნაშავე ვარ თქვენს წინაშე, მაგრამ ძლიერ დასჯილიც ვარ. თქვენი ნაპოვნი ქილა მე მოეპარე და დავმალე ურემზე. როცა თქვენ წახვედით, ფრთხილად დავკარ ქილის ყელს ჩაქუჩი, ქილიდან ამოვარდა გახრიბელა კვამლი და სახე დამიწვა მდულარე ერბოთი.

— ქილა სადღაა? — პკითხა ბახტი-ჯამალმა.

ურემში გდია, მიახლოვებისაც კი მეშინია.

ბახტი-ჯამალმა ნახა ურემში აბლაბუდიანი ქილა, ფრთხილად გამოიტანა ქუჩაში და გატეხა. ქილი-დან გამოცივდა ბამბით სავსე რაღაც უცნაური კოლოფები. ბახტი-ჯამალმა ერთი გახსნა და შიგ წვრილი თესლები ნახა.

— ალბათ, რაღაც საუცხოო მცენარეა, მოდი დავთესოთ, — თქვა მან. ძმებმა დათესეს. ზაფხულის ბოლოს მცენარე მოიფინა კოლოფებით, რომელნიც თანდათან სკდებოდნენ. ძმების ცოლებმა კოლოფებში ნახეს თეთრი ლინოლიანი ფიტქები, გაწმინდეს თესლისაგან და დაართეს ძაფი. ძაფით მოქსოვეს ქსოვილი და შეიკერეს კაბები. ყველა კვარინბდა და ყველა სთხოვდა ძმებს თესლს. ახლა კი მიხვდნენ ძმები, რა განძიც იპოვეს: ეს იყო ბამბა.

თარგმანი თ. გეგულიშვილისა




ବୀରାମ ତଥିଦି



საინტერესო ცხრილი

ԲԱՐԵՎԱՐԴՈ

5	4	3	2	1
16	8	4	2	1
17	9	5	3	3
18	10	6	6	5
19	11	7	7	7
20	12	12	10	9
21	13	13	11	11
22	14	14	14	13
23	15	15	15	15
24	24	20	18	17
25	25	21	19	19
26	26	22	22	21
27	27	23	23	23
28	28	28	26	25
29	29	29	27	27
30	30	30	30	29
31	31	31	31	31
16	8	4	2	1



- ქალის სახელი, 2. მტაცებელი
 - ფრინველი, 3. ყვავილი, 4. მამაკაცის სახელი, 5. სპეციალისტის სახელშოთება, 6. ყვავილი, 7. კურორტი საბჭოთა კავშირში, 8. შინაური ფრინველი, 9. ჰომეროსის ნაწარმოები, 10. მოსწავლეთა დასკვნება, 11. ოვე, 12. ცხოველი, 13. სახელმწიფო აზიაში.

ბალი კოგანძე.

89-6 კლასის მოსწავლე

გადახსტეთ ეს ცხრილი. მისი
დაბმარებით ადვილად შესძლებთ
გააკვირვოთ ოქენია ამხანგები.
მიეკით მათ წინადადება: ჩაითქმ-
ონ რომელიმე რიცხვი 31-მდე და
გითხრან ამ ცხრილის რომელ
სკეტებშია მოთხოვებული ჩაფიქრე-
ბული რიცხვი.

მაგალითად ჩატიქრებულია — 19.
ეს რიცხვი მოთავსებულია ამ ცხრი-
ლის 1, მე-2 და მე-5 სვეტში,
რაშინ თქვენ შეაერთობთ ამ სვეტე-
ბის ქვედა გრაფაში მოთავსებულ
იქ იხდი:

+ 2 + 1 = 19 და პასუხი მიღებულია. ასევე ადგილად შეგიძლიანოთ გამოიცნოთ სხვის მიერ ჩაფიქრებული ყველა რიცხვი 31-ის ფარგლებში ამ საინტერესო ცხრილის მეშვეობით.

გამოცანები

ერთ ტიკეორაში ორი ფერის ლვინო ასხია,
ყვითელი და თეთრი, ვანჯლევ და ერთად არ
შეიძინება.

შიგნით გული გულია, გარეთ ქერქი ატლა-
სი, გარს არტყია მეომარი, მეომარი ათასი.

თეთრი სამ შავზე დახტოდა, ჰელვებდა
თეთრსა კვალსაო, მას გვერდით ედგა ყმაწვი-
ლი არ აშორებდა თვალსაო.

ასი, ასი ასლამაზი, ასი კაბა აცვია, აბრე-
შომის ქოჩორი თავზე გადუვარცხნია.

Digitized by srujanika@gmail.com

თელავის რაიონი, ახმეტის სოფული საშუალო სკოლა-